გლობალური ეკონომიკის ინკლუზიური განვითარება

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს მოწვეული პროფესორი

ანოტაცია

ნაშრომი ეხება გლობალური ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას. ნაშრომში განიხილება ინკლუზიური განვითარების კონცეფცია და მისი მიზნები, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები ინკლუზიური ეკონომიკის მიზნების გათვალისწინებით, მშპ-ს მექანიზმი , როგორც ზრდის მთავარი მაჩვენებელი, ინკლუზიური განვითარების ამოცანები და „ტრადიციულ ეკონომიკური ზრდას" შორის ურთიერთობები, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა კაცობრიობის პროგრესისათვისა და ინკლუზიური განვითარების პრობლემების გადასაჭრელად.

ძირითადი სიტყვები: ინკლუზიური ეკონომიკა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ინკლუზიური განვითარების ინდექსი.

INCLUSIVE DEVELOPMENT OF THE GLOBAL ECONOMY

Nato Chikviladze,
Invited Professor of GTU

ANNOTATION

The article deals with the issues of inclusive development of the world economy. The concept of inclusive development and its goals, indicators of economic growth taking into account the goals of inclusive economy, the mechanism of GDP as the main indicator of growth, the tasks of inclusive development and the relationship between 'traditional economic growth', the importance of economic growth for humanity for progress and solving the problems of inclusive development are considered.

Key words: Inclusive economy, inclusive economic growth, inclusive development index

* * * *

ინკლუზიური ეკონომიკა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის (გაერო, მსოფლიო მონეტარული ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი). არსებობს „მდგრადი ინკლუზიური ზრდის" სხვადასხვა განმარტება, თუმცა ჯერ არ გვაქვს ერთი შეთანხმებული გაგება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაეროს (გაეროს განვითარების პროგრამა) მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციები მსგავსია.მათში ინკლუზიური ზრდა გულისხმობს სამართლიან, (არადისკრიმინაციურ) განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ჯგუფის თანაბარ მონაწილეობას „ დაუცველთა" ჩათვლით ეკონომიკური ზრდის პროცესში და გაზრდილი კეთილდღეობის სარგებლის განაწილებას ფულადი და არაფულადი ფორმით. ივარაუდება, რომ ეკონომიკური ზრდის სარგებელი უნდა ნახოს მოსახლეობის ისეთმა კატეგორიებმაც, როგორებიც არიან: ახალგაზრდები, ხანდაზმულები და მიგრანტები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განმარტავს ინკლუზიურ ზრდას, როგორც შინამეურნეობების შემოსავლების ეკოსისტემას. ამ კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი იდეის თანახმად, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები უნდა გადაიხედოს, რათა უფრო ეფექტურად შეეწინააღმდეგოს დაუცველობასა და უთანასწორობას, რომელიც თან ახლავს ტექნოლოგიურ ცვლილებას და გლობალიზაციას.ეს არის მდგრადი, ყოვლისმომცველი პროგრესი (და არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა), რომელსაც თან ახლავს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მისი ეკონომიკური შესაძლებლობების, უსაფრთხოების დონისა და ცხოვრების ხარისხის მატებასთან ერთად, ასევე აღიარებული უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების მთავარ მიზნად.

ინკლუზიურ ზრდაზე დისკუსიების დროს ბევრმა ექსპერტმა გამოთქვა კრიტიკული აზრი ეკონომიკური ზრდის მთავარი თანამედროვე საზომის მშპ-ს მიმართ. კრიტიკოსების აზრით, მშპ-ს არ შეუძლია განსაზღვროს ინკლუზიური განვითარების ტრაექტორია და ისეთი კომპონენტები, როგორიცაა უთანასწორობის დონე და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების წვლილი ეკონომიკურ პროგრესში, შესაძლებლობების მრავალფეროვნება, ეკონომიკური უსაფრთხოების და ცხოვრების ხარისხი. გაეროს მიერ გამოქვეყნებული ადამიანური განვითარებას ინდექსი, რომელიც აერთიანებს სიცოცხლის მოლოდინებს, განათლებისა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს, მხოლოდ ნაწილობრივი მიდგომაა ამ პრობლემის გადასაჭრელად. მშპ-ს ინდიკატორის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ის ვერ იქნება ზრდის ერთადერთი საზომი, რადგან სრულად ვერ ასახავს ეკონომიკაში სტრუქტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ისევე როგორც გლობალიზაციის შედეგად გამოწვეულ ცვლილე-

ბებს.თანამედროვე პირობებში ეკონომიკის უფრო დიდი წილი (კერძო სექტორი) მოდის რთულად გასაზომ სერვისებზე და არა საქონლის წარმოებაზე.

ათწლეულების მანძილზე წარმოების ცვლილებები (ახალი საქონლის გამოჩენა, მათი ხარისხის გაუმჯობესება და სხვა ინოვაციები) სტატისტიკურად არ აისახებოდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. ეკონომიკური სეგმენტების განვითარებამ, როგორიცაა სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და საძიებო სისტემები, შექმნა დამატებითი სირთულეები მშპ-ს ღირებულების გაზომვისას. ამჟამად იგი მოიცავს ყველა საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც აქვს საბაზრო ფასი. "არასაბაზრო" საქონლის ღირებულების მიახლოვებითი დადგენისათვის გამოიყენება ალტერნატიული გაზომვის წესი.მაგალითად ეს შეიძლება იყოს სარეკლამო შემოსავლის გაანგარიშება, რომელიც მიმართულია გამოგონებების სუბსიდირებისათვის. თუმცა ეს შეფასება არაზუსტია.სპეციალისტები თვლიან, რომ ამა თუ იმ კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ღირებულება სამჯერ აღემატება რეკლამის მიერ მიღებულ შემოსავალს.

2018 წელს დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის განვითარების ახალი მაჩვენებელი-ინკლუზიური განვითარების ინდექსი (IDI). ეს ინდექსი, რომელიც შემუშავებულია 103 ქვეყნისათვის, მოიცავეს 12 პარამეტრს (მშპ-ს ზრდა მხოლოდ ერთი მათგანია) გაერთიანებულს სამ ჯგუფად:

1. ზრდა და განვითარება(მშპ-ს ზრდა, დასაქმება, შრომის ნაყოფიერება, სიცოცხლის ხანგრძლივობა);

2. ინკლუზიურობა (ოჯახის საშუალო შემოსავალი, სიღარიბის დონე, საზოგადოების დაყოფის კოეფიციენტი შემოსავლების მიხედვით და საზოგადოების დაყოფის კოეფიციენტი სიმდიდრის განაწილების მიხედვით);

3. თაობათა შორის თანასწორობა და მდგრადობა (წმინდა დანაზოგების დონის, დამოკიდებულების კოეფიციენტის, სახელმწიფო ვალისა და გარემოს დაბინძურების ინდიკატორები).

თითოეული ჯგუფის ინდიკატორებიდან ჯერ გამოითვლება ჯგუფის ინდექსები, შემდეგ ემატება

საბოლოო - მათი საშუალო არითმეტიკული. ასეთი ყოვლისმომცველი მაჩვენებელი, მსოფლიო ეკონომიკური ფორმულის ექსპერტების აზრით, ასახავს ეკონომიკური განვითარების უფრო

ჰოლისტურ სურათს, რომლის მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის მდგრადი ზრდა. საზოგადოებაში, სადაც ინკლუზიური განვითარების მიზნები არ არის დასახული, ეკონომიკური ზრდის პოტენციური ტემპი, თუნდაც მშპ-ს ზრდის პირობებში, მცირდება.ინკლუზიური განვითარების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს ინფრასტრუქტურის პრობლემების არსებობაზე, ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხარვეზებზე და საინვესტიციო კლიმატის საფრთხეებზე.

ამრიგად, ეს მაჩვენებელი შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის წერტილების იდენტიფიცირებას, არამედ გამოკვეთოს ეკონომიკური ზრდის ახალი, უფრო ეფექტური მოდელების კონტურები, რომელიც ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრს, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

პროგნოზის მიხედვით, ინკლუზიური ზრდის ინდექსი დროთა განმავლობაში დაიკავებს მნიშვნელოვან პოზიციას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთა სისტემაში. ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება ზრდის პროცესში, ეს არის ბალანსი ე.წ. ტრადიციულ და ინკლუზიური ზრდის ამოცანებს შორის. შესაძლებელია თუ არა იმის თქმა, რომ თანამედროვე მსოფლიოს საქონლისა და მომსახურების წარმოების გაზრდა აღარ არის მნიშვნელოვანი და ამის გარეშეც შეიძლება? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, მშპ-ს ზრდა აუცილებელია არა მარტო ქვეყნის და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მწვავე სოციალ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად.

მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა, ისმის კითხვა: რამდენად ეფექტური იქნება ალტერნატიული ქმედებები მოსახლეობის გათანაბრებისათვის?

არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ უთანასწორობა, თავისთავად, არის სუსტი ზრდის შედეგი და რომ შემოსავლების გადანაწილება სოციალურ კიბეზე, ხელს შეუწყობს მოხმარების ზრდას და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდასაც. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი არგუმენტი შეიძლება მისაღები იყოს გრძელვადიანი რეცესიის პირობებში, სრული დასაქმების პროცესში ეკონომიკაში შემოსავლები არ უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ მოხმარებაზე. დანაზოგი, პირველ რიგში, საჭიროა ინვესტიციების დასაფინანსებლად, რისი შედეგიც იქნება შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასების ზრდა. გარდა ამისა, არსებობს დაბალი შემოსავლების ზრდის სხვა გზები, კერძოდ, ინვესტიციები განათლებაში და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

ანალიტიკოსთა შორის, რომლებიც განიხილავენ პროდუქტულობის ზრდასა და ეკონომიკურ პროგრესზე ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენის ფენომენს, არიან როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეები. მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ბოლო ათწლეულების ტექნოლოგიურმა მიღწევებმა გაცილებით მცირე გავლენა მოახდინა პროდუქტიულობის ზრდაზე სამეცნიერო და ტექნოლო-

გიური რევოლუციის საწყისი ეტაპის მიღწევებთან შედარებით ელექტროენერგიის, წყალმომარაგების სისტემების, ავტომანქანებისა და სხა გამოგონებებთან შედარებით.მხარდამჭერები, პირიქით, ხაზს უსვამენ თანამედროვე ნანოტექნოლოგიის, ბიომედიცინისა და ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობას, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის ახალი ეპოქის საწინდარს.მათი შეხედულებით, ყოველთვის არ არის შესაძლებელი დღევანდელი გამოგონებებათა შედეგების წინასწარი განჭვრეტა და ამიტომ მშპ სრულად ვერ ასახავს ტექნოლოგიურ და სტრუქტურულ ცვლილებებს. ახალი ტექნოლოგიების კომერციული გამოყენება ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება გამომგონებლის თავდაპირველი განზრახვებისაგან.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მომხრეები მართლები არიან და პრობლემა მხოლოდ მშპ-ს გაზომვაშია, თუმცა, თუ პროდუქტულობის ზრდა კვლავ სუსტია, როგორც მოწინააღმდეგეები გვაფრთხილებენ, მაშინ ეროვნული და საერთაშორისო გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა იმოქმედონ შესაბამისად.

მთავარი პრიორიტეტი კი აუცილებლად უნდა იყოს გრძელვადიანი, ზრდადი დინამიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., ეკონომიკური ზრდა:თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა(მეთოდოლოგიური ასპექტი), ჟურნალი"ეკონომიკა და ბიზნესი", 2020, #2, ტXII;

2. ხადური ნ., ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", 2018, გვ. 37-40.

3. Stiglitz J., Fitoussi J., Duran M. 2018. *Beyond GDP: Measuring What Counts for Economic and Social Performance OECD Publishing.* Paris. 148 p. DOI: 10.1787/9789264307292-en